ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№4-11/0632-20
"03" 06 2020 წ.

დადგენილება №000189
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

03.06.2020წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე, 2020 წლის 25 მაისის №000189 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, შ.პ.ს. **„ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი"-ს** (ს/ნ №400265057; დირექტორი - ლაშა კანდელაკიშვილი; მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზირი, №76) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ირინა ენუქიძის ქუჩა №5-ში, ს/კ №01.72.14.013.681-ზე, (ყოფ. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) შ.პ.ს. „ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი"-ს მიერ, განხორციელდა სასტუმროს (სასტუმრო სტუდენტებისთვის) რეკონსტრუქციის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3676362 16.11.2017წ. ბრძანებით არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ: **„1-16" ფასადზე:** 7-8 მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის სიგანე და შეცვლილია დახრის კუთხე. **„16-1" ფასადზე:** 15-12 მონაკვეთში გაუქმებულია აივნები. ვიტრაჟის და კარ-ფანჯრების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. +10.30 ნიშნულზე, 15-14 მონაკვეთში ამოშენებულია კარ-ფანჯრის ღიობი. **„ა-ზ" ფასადზე:** +13.80 ნიშნულზე ლითონის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური მოაჯირები. მოსაპირკეთებელია გარე კიბეები და პანდუსები. ასევე არ არის მოწყობილი საჩრდილობელი. აივნებზე გაუქმებულია კაპიტალური კედლები, ცოკოლზე დამატებულია ლითონის საყრდენი დეტალები. +0.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი აივნის მოაჯირები. მოსაპირკეთებელია კედლების ნაწილი. დასასრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა. შეცვლილია შენობის კონსტრუქციული სქემა (სვეტების და კოჭების გაბარიტები, რაოდენობა და მდებრეობა. ასევე შეცვლილია კედლების მდებარეობა და გაბარიტი. დამატებით ფიქსირდება სეისმური ნაკერები. შეცვლილია გარე კიბეების და პანდუსების ფორმა და გაბარიტი. შეცვლილია აივნების და ვიტრაჟების გაბარიტი. არ არის მოწყობილი შ.შ.მ. პირთათვის ადაპტირებული სველი წერტილები. შემცირებულია კარების გაბარიტები და შეცვლილია ტიხრების რაოდენობა და მდებარეობა. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა. ნაგებობის არსებულ ნაწილში მოჩარჩოებულია ღიობების ნაწილი. სარდაფში დამატებულია სარკმლები. +10.30 ნიშნულზე, 2-3 მონაკვეთში გაუქმებულია

შიდა ფართის ნაწილი. +13.80 ნიშნულზე გაზრდილია ლიფტის სამანქანოს სიგანე და აწეულია იატაკის დონე. შეცვლილია აღნიშნულ ნიშნულზე ასასვლელი გარე კიბის მოწყობა. შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების გაოდენობა და შემცირებულია მათი სიმაღლე.

2020 წლის 25 მაისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000189 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/0120100315-17 09.04.2020წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ირინა ენუქიძის ქუჩა №5-ში, ს/კ №01.72.14.013.681-ზე, (ყოფ. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) განხორციელდა სასტუმროს (სასტუმრო სტუდენტებისთვის) რეკონსტრუქციის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3676362 16.11.2017წ. ბრძანებით არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 127-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.გ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი" დაჯარიმდეს 10 000 (ათიათასი) ლარით, ქ. თბილისში, ირინა ენუქიძის ქუჩა №5-ში, ს/კ №01.72.14.013.681-ზე, (ყოფ. დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) არქიტექტურული პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (სასტუმროს (სასტუმრო სტუდენტებისთვის) რეკონსტრუქცია)) მშენებლობისათვის.

2. შ.პ.ს. „ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ევროპის უნივერსიტეტის კამპუსი"-ს დაეკისროს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე